შინაური საქმეები

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

№ 13.

ᲥᲕᲘᲠᲐ, ᲘᲕᲚᲘᲡᲘ 6, 1908 წ.

ფასი წლიურად — — 4 მან.

ნახევარი წლით — 3 მან.

ცალკე ნომერი ღირს 8 კაპეიკით.

ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: ქრისტე ღმერთი და ივ. გომართელის იჭიბოჭია—სანმანიანისა; სახარება, როგორც ცხოვრების საფუძველი—ვ. ჩ—ძისა; პროფესორ მაქს მიულლერის აზრი მატერიალიზმზე—ბოსლეველისა; ახლო-მახლო—კირილე წუთისოფლელისა; რამდენიმე დღე ზუგდიდის მაზრაში—გულშემატკივარი მოკეთისა; ქუთ. მეპურეთა ამხანაგობის „იმედის“ მოთავეთა და ხელმძღვანელთა საყურადღებოთ—რედ.-ისა; მაგალითები, რომლებიც ამტკიცებენ სულის უკვდავებას და საიქიო ცხოვრების არსებობას—სანმანიანისა.

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲨᲘᲜᲐᲣᲠ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲖᲔ“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (საბურთალო—კაზაკოვის—შესახვევში № 17) და საეპარქიო საბჭოში—წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 3 მ. ცალკე ნომერი ღირს 8 კ. აპრილიდგან იანვრამდის 3 მანეთი. გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.

ᲥᲠᲘᲡᲢᲔ ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲘᲕ. ᲒᲝᲛᲐᲠᲗᲔᲚᲘᲡ ᲘᲭᲘᲑᲝᲭᲘᲐ.

(გაგრძელება [1]).

მიუხედავად თავის უნიადაგობისა და უსაფუძვლობისა, ბ. გომართელი მაინც გაიძახის „იესო ქრისტეს დედაც ჰყავდა და მამაცაო, ძმებიც და დებიცო“ და არ გვისახელებს კი ვინ იყვნენ ეს მისი დაძმანი, იოსებ პანდერას შვილები, თუ იოსებ მართლისა? თუ იოსებ პანდერასი, რალათ მიიღო იოსებ მართალმა მარიამი და თუ ამ უკანასკნელისა რათ არაფერია ნათქვამი სახარებაში? ვის მოერიდნენ მოციქულები, რომ არ მოიხსენეს ეს გარემოება. რომ იესო ქრისტეს საკუთარი ძმები არ ყოლია და არც ქალწულ მარიამს საკუთარი შვილები, გარდა იესოსი, ამას სხვათა შორის გვიმტკიცებს ის გარემოებაც, რომ ი. ქრისტემ სიკვდილის წინ თავისი დედა ჩააბარა ზებედეს შვილს, თავის საყვარელ მოწაფეს იოანეს, რომელსაც უთხრა „აჰა დედა შენიო“, ხოლო დედას „დედაკაცო, აჰა ძე შენიო.“ ვკითხავთ ბ. გომართელს, რა საჭირო იყო ასეთი ჩაბარება დედისა კერძო მოწაფეზე, თუ მას ჰყავდა საკუთარი ძმა და ქალწულ მარიამს საკუთარი შვილი, ვისგანაც უნდა ყოფილიყო ეს უკანასკნელი იოსებ პანდერასაგან, თუ იოსებ მართალისაგან. (გაპატივოს დედა ღვთისამ, რომ ასე უშვერათ ვიხსენიებთ მის წმიდა და უბიწო სახელს, გვაპატივეთ თქვენც, ვის სარწმუნოებრივ გრძნობასაც ვაშფოთებთ ამით – იძულებული ვართ ასე ვილაპარაკოთ, რომ გომართელის აბდა-უბდით ზოგიერთ გზა-დაბნეულ მკითხველს თვალები აუხილოთ და სწორე გზა ვუჩვენოთ). „და წარიყვანა მოწაფემან იგი მიერ ჟამიდგან“ და პატრონობდა მას სიკვდილამდი, როგორც გადმოგვცემს ისტორია.

შესანიშნავია სხვათა შორის შემდეგი გარემოება: იაკობ მოციქული იწოდებოდა ძმად უფლისა და სცხოვრობდა მუდამ იერუსალიმში; ქალწულმა მარიამმა – პალესტინაში გაატარა თავისი სიცოცხლე,

[1]) იხ. „შინ. საქ.“ № 11.

მაგრამ იაკობ მოციქულთან ერთი დღეც არ უცხოვრნია, რაც ყოვლად გაუგებარია ღვთისმშობლის მოყვარულ გულისაგან, თუ ეს უკანასკნელი (იაკობი) ღვიძლი შვილი იყო მისი.

თუ ბ. ივ. გომართელი გულწრფელი მკვლევარია ი. ქრისტეს ცხოვრებამოღვაწეობისა, თუ ის განძრახ არ უხვევს თვალს გულუბრყვილო მკითხველს თავის რაღაც მანქანების ძალით შეძენილ გავლენით, თუ მას იმედი არ აქვს მაინცდამაინც ამ ყრუ გავლენისა, დაბოლოს, თუ იგი პატიოსანი და სინიდისიერი ჭეშმარიტების მეძიებელია და არა უბრალო სიბნელის მთესველი პროპაგანდისტი, დაგვიმტკიცოს წინააღმდეგი, მოგვიყვანოს უტყუარი საბუთები თავის ულაზათო აზრების გასამართლებელი და ჩვენც ქედს მოვიხრით მის წინაშე, ჩვენც დავემორჩილებით მის მეცნიერებას და აღვიარებთ მის გენიოსობას, რომელმაც აუხილა თვალი ორი ათასი წლის ბრმა კაცობრიობას. თუ იგი ასე არ მოიქცა, მაშინ მკითხველმა უწოდოს მას ის სახელი, რომლის ღირსიც იყოს!...

დაამახინჯა რა ი. ქრისტეს ღვთაებრივი ბუნება, ბ. გომართელი ამახინჯებს მის (ი. ქრისტეს) მოძღვრებასაც. ეს ასეც უნდა მომხდარიყო: ი. ქრისტეს პიროვნება განუყრელია, განუშორებელია მის მოძღვრებასთან. მისი საქმე და სიტყვა ერთია, მისი მოძრაობა, მისი გამომეტყველება მთლად გამსჭვალულია მისი ღვთაებრივი მოძღვრებით. ამიტომ ერთი ტლანქი შეხება, ერთ რომელიმე თვისების გამოკლება სრულებით არღვევს მის მთლიანობას, იმ უსაზღვრო და უმაგალითო გარმონიას, რომლითაც შეკავშირებული იყო მასში ღვთაებრივი და კაცობრივი ბუნება.

დიახ, გომართელი ამახინჯებს (უკეთ რომ ვსთქვათ იმეორებს სხვის დამახინჯებულ სწავლას) ქრისტეს მოძღვრებას და სამღვდელოებას კი უკიჟინებს ქრისტე არ წამსო, მისი „მოძღვრება თავის გემოზე გადააკეთაო და ეხლა რომ მოევლინოს ქვეყანას, ყველაზე უმალ მისი სახელის მატარებელი სამღვდელოება ამხედრდებოდა იმის წინააღმდეგო“. შეიძლება ასეც მოხდეს, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ ამ შემთხვევაში გომართელი და მისნი თანამებრძოლნი იქნებიან მეთაურნი ქრისტეს მბრძოლთა მეთაური რაზმისა. თუ ეხლა როცა იგი შორსაა, უხილავია, მათ მოსვენებას არ აძლევს მისი დაფნის გვირგვინები, თუ ეხლა, როცა ჯვარცმულმა თავის აღდგომით ცხადად დაამტკიცა თავის ღვთაება, იგი იდევნება გომართელისებური ქვეყნის ბელადებისგან, ეხლა როდესაც მის სწავლა-მოძღვრებას თავის გემოზე სჯიჯგნიან, რა იქნებოდა მაშინ, როცა ხელახლად მოვლინებული ქრისტე გაუმეორებდა მათ თავის პასუხს პილატესადმი, რომ „მეუფება ჩემი არა არს ქვეყნისა ამისაგან.“ რა შურითა და გულისწყრომით აღივსებოდა მაშინ გომართელის წრფელი (?!) გული, როცა იესო ქრისტე ეტყოდა მას: რომელი სჭამდეს ხორცს ჩემსა და სმიდეს სისხლსა ჩემსა, აქვნდეს ცხოვრება საუკუნო და მე **აღვადგინო აგი უკანასკნელსა მას დღესაო**“, ან კიდევ მაშინ, როცა ეტყოდა სასუფეველზე: „სასუფეველი ცათა იიძულებისო“, ან კიდევ.—მაგრამ რამდენი უნდა ჩამოვთვალოთ? თითეული მისი სიტყვა ლახვარივით მოხვდებოდა გულზე მოწინავე რაზმელებს და, ვინ იცის, რა სასჯელს არ მოიგონებდენ მისთვის, რომელიც ცაზე ოცნებობდა და ქვეყნიერებას ავიწყებინებდა ადამიანს, ე. ი. ატყუებდა მას. თუ ეხლა ნახევრად მორწმუნე სამღვდელოებას იმისთვის სდევნიან, რომ ხალხს ცისკენ უთითებენ, რა თქმა უნდა არ დაინდობდენ მას, ვინც ბრძანებდა: „უკეთუ გნებავს სრულ იყო, წარვედ განყიდე საყოფელი შენი, აღიღე ჯვარი შენი და შემომიდეგ მე და „გაქვნდეს საუნჯე ცათა შინაო.“ ასეთ მქადაგებელს ენასაც კი ამოსჭრიან, თუ დაიხელეს. მაგონდება ერთი სოფლელი პრო-

პაგანდისტის ქადაგება შესახებ ხარკის გადახდისა, რომლის გადახდას უკრძალავდა ხალხს და ამბობდა, რომ ქრისტე წინააღმდეგი იყო ხარკის გადახდისაო და ქადაგებდა კაპეიკი არ მისცეთ მართებლობასაო. როცა მას მოაგონეს სახარების სიტყვები: „მიეცით კეისრისა კეისარსა და ღვთისა ღმერთსაო“, ბ. ქადაგმა პასუხად უთხრა „ეს ღვდლების ჩაწერილიაო.“ მაშ თქვენ საიდგან ამტკიცებთ თქვენ აზრს, რომ ქრისტე წინააღმდეგი იყო ხარკის გადახდისაო, შეუბრუნეს სიტყვა—? პროპაგანდისტი დაიბნა და შემკითხველს მიაფურთხა... პროპაგანდისტს კიდევ ეპატიება ასეთი თავისებური უსუსური არგუმენტაცია, მაგრამ გომართელი ამით ვერ გაგვისტუმრებს: პირველი ატყუებდა ხალხს ცნობილი მიზნისთვის (სოციალიზმის თვის?!), ხოლო მეორე მეცნიერობს, ამიტომ რაც მას ეპატივება, ამას არ მიეტევება. ამიტომ ჩვენ უფლება გვაქვს მოკსთხოვოთ მას უტყუარი საბუთი, თუ როდის და რომელმა სამღვდელოებამ დაამახინჯა სახარება?

(შემდეგი იქნება).

სანმანიანი.



სახარება, როგორც ცხოვრების საფუძველი

ცივილიზაციის ძირითადი საფუძველნი.

გაგრძელება.[1])

კულტურულ ცხოვრების დასაწყისში ადამიანის ყურადღებას უმთავრესად გარეგანი ფიზიკური ბუნება იპყრობდა. აუარელ გარეგან შთაბეჭდილებათა ზედგავლენით დატვირთული ხალხი ამ დროს, როგორც ახლად გაღვიძებული გონების მექონი ბავშვი, პირველ ხანებში ბუნდოვნად გრძნობს თავის პიროვნებას, არ არჩევს თავის თავს იმ ბუნებისაგან, რომელიც მას გარშემო არტყია. მთელი მისი გონების სიმახვილე განსაკუთრებით მიპყრობილია ერთის საკითხის გადასაწყვეტად. საიდგან წარმოსდგა ყველა ის, რასაც ჰხედავს თავის გარშემო, სად არის დასაბამი ქვეყნიერებისა, ვინ წარმოშობა იგი? მთელი ბერძნული ფილოსოფია ფალესიდგან დაწყებულ სოგრატამდე იმ კითხვის გამორკვევაშია თუ რა არის ქვეყნიერება თავის თავად, რისგან შესდგება ყოლიფერი, რამ წარმოშობა და რად იქცევა ბოლოს ყოლიფერი. ყოველ ცვალებად მოვლენათა ფუძედ სახავდნენ ხან წყალს, ხან ცეცხლს, ხან ჰაერს და ხან სხვა ნივთიერებას. როცა ეს კითხვა ყოველ მხრივ განიხილა, ფილოსოფიამ წამოაყენა ახალი, უფრო მძიმე საკითხი, თავისი უმთავრესი ყურადღება მიაპყრო ადამიანს. „ფილოსოფიური აზროვნება, ამბობს ბაუერი, მხოლოდ მაშინ უბრუნდება ადამიანის შინაგან ცხოვრებას და იწყებს მის კვლევას, როცა მისი მხედველობა უკვე შეჩვეულია მნათობთა ყოველთვის ერთგვარ მოძრაობას და ფიზიკურ მოვლენათა ცვალებადობას“.

ახალი ხანის აღმოჩენა ადამიანის აზროვნების ისტორიაში წილად ხვდა სოგრატს. პირველად სოგრატმა მოსწყვიტა ფილოსოფია გარეგან ფიზიკურ ბუნებას და უჩვენა მას სარბიელი ადამიანის შინაგან სულიერ ცხოვრებაში. სოგრატამდის ასწავლიდნენ: „იცანი გარეგანი ქვეყნიერებაო“, სოგრატი და მის შემდეგნი ასწავლიდნენ: „იცან თავი შენიო“. ეს დიდი წინწადგმული ნაბიჯი იყო, მაგრამ სავსებით შეგნება დასმული საკითხისა ჯერ კიდევ მოსალოდნელი არ იყო. ეოლიუცია თანდათანობით სწარმოებს, ყველაფერი თავის დროზე მოდის. ფილოსოფიის გენიაც კი ვერ შვრება ნახტომს სოგრატმა ღრმად ჩაიხედა თავის შინაგან არსებაში და შეამჩნია მხოლოდ ერთი მხარე ადამიანის სულიერ ბუნებისა — შემეცნება (სწავლის შეძენის უნარი). რთულ, დაფარულ გულის-ცხოვრებაზე იმან ჯერ არაფერი იცოდა და ფიქრობდა, რომ ადამიანები ბო-

[1]) იხ. „შინ. საქ.“ № 12.

როტები და ცრუნი არიან უმეცრების გამო. ვინც მშვენიერება ნამდვილად შეიგნო, იგი ამის და გვარად მოიქცევა“, ამბობს სოგრატი. სასურველი იყო, რომ ეს ასე ყოფილიყო, მაგრამ გამოცდილების სიმწარე ყოველთვის გვარწმუნებს, რომ სათნოების ცოდნასა და მის შესაფერ ცხოვრებაში დიდი მანძილია. დანიშნულ მწვერვალს რომ მივაღწიოთ გარდა ადგილობრივ გარემოების ცოდნისა, საჭიროა მედგარი სურვილი, რომ გადავთელოთ ყოველივე სიძნელე გზისა და საღი, მოძრაობაში გამოცდილი, სხეული. მსგავსივეა სათნოების გზაც: არ კმარა მაღალი აზრები და სათნოების შეგნება, საჭიროა კიდევ ერთ-გვარად აღზრდილი ნება. რომელმაც უნდა ცხადჰყოს ჩვენი იდეალები, არსებაში მოიყვანოს იგინი. სოგრატს სათნოება რაღაც გარეგან, ადამიანისაგან დამოუკიდებელ საგნად მიაჩნდა. იმას ეგონა, სათნოების სწავლება შეიძლეაოდა ისე, როგორც არითმეტიკისა, წერისა, კითხვისა. საკითხის სიახლისა გამო სოგრატს არ შეეძლო, ერთბაშათ შეეგნო, რომ სათნოება არის ნაყოფი ხანგრძლივი შინაგან მუშაობისა, შედეგი გარყვნილ და თანშობილ ინსტიქტებთან მწვავე ბრძოლისა. საჭირო იყო საუკუნოები, რომ კაცობრიობა მიმხვდარიყო ამას და როცა მიხვდა, კიდეც წარმოითქვა მოციქულის პირით: „შინაგანი კაცით ვპოულობ სიტკბოებასა სჯულსა შინა ღვთისასა, ხოლო ასოთა შინა ჩემთა ვხედავ სხვასა სჯულსა, რომელი წინააღუდგებაა სჯულსა გონებისა ჩემისასა“. (რ. 7, 22-23).

რადგანაც ძველი დროის ყურადღება მიქცეული იყო განსაკუთრებით გარეგან ბუნებაზე, რადგანაც დიდი მნიშვნელობა ადამიანის პიროვნობისა ჯერ კიდევ შეუგნებელი იყო, ამიტომ მაშინდელი კულტურული ხალხის იდეალები ადამიანის გარეგანობას ეტრფოდენ. უფრო თვალსაჩინო გამომხატველი ძველის დროის კულტურის იყო რომი და საბერძნეთი, ეგრეთ წოდებული ძველი დროის ქვეყნიერება და ჩვენ ვხედავთ, რომ ფართო სარბიელი სხვა და სხვა სულიერ ინტერესებისა ამ ქვეყნიერებისათვის თითქმის სრულიად არ არსებობდა. ისეთი კითხვები, როგორიც არიან მაგ., ადამიანის ღირსება, პიროვნების უფლება, ხალხთა ძმობა და სხვა მრავალი ამ გვარი ან სულ შეუხებელი რჩებოდნენ და ან თუ შეეხებოდნენ,— გაკვრით. უკანასკნელი მიზანი ძველის ქვეყნის მისწრაფებისა იყო ფიზიკური მშვენიერების და ძლიერების, ღონის თაყვანისცემა. ბერძენი დნებოდა ფიზიკურ მშვენიერების წინაშე, აფასებდა და თაყვანს ცემდა მხოლოდ მას. ბერძნული მითოლოგია სავსეა ოლიმპის ღმერთების გარყვნილი ცხოვრების მაგალითებით, მაგრამ იგივე მითოლოგია წარმოადგენს მრავალს სურათს, რომელიც ჰხიბლავს ადამიანს თავისი პლასტიური ფორმის სისრულით. ამ მხრით საბერძნეთმა უმაღლეს წერტილამდის მიაღწია და მისი ნაწარმოები სამუდამო და მიუწდომელ მაგალითად შეიქმნა შთამამავლობისათვის. მეტი წინ წასვლა შეუძლებელია!.

რომაელი არ იყო მხატვარი, ხელოვნებას ისე უყურებდა, როგორც გასართობ საგანს. თითონ ძლიერი, ის ძალას მაღლა აყენებდა მშვენიერებაზე (სილამაზეზე). მის ძლიერების ქვეშ თავს იხრიდნენ თვით შორეული ქვეყნებიც კი და რომი იზრდებოდა, მდიდრდებოდა ირთვებოდა დაპყრობილ ქვეყანათა ხარჯით. რომი მთელი ქვეყნიერების სატახტო ქალაქი შეიქმნა. მისი სიდიადე და ძლიერება, აი იდეალი, რომლისათვისაც სცოცხლობდა და რომელისათვისაც ყველაფერი მსხვერპლად მიჰქონდა რომაელს. მაგრამ ორივე ამ იდეალებს სხეულის სილამაზის სისრულეს და ტლანქი კუნთების ღონის გაბატონებას მიაღწია ძველმა ქვეყანამ. აკროპოლი ბრწყინავდა საკვირველი, ჯერ არ ნახული სილამაზით, რომის ღარღილი შეიქმნა მთელი მაშინდელი ქვეყნიერების კანონად. რაღასთვის უნდა ეცხოვრა ეხლა ძველს ქვეყნიერებას? ახალი იდეა, რომელსაც მთლად დაეტყვეებინა საზოგადოების გული, არსად, ჩნდებოდა, ძველმა კი მოსჭამა თავის წუთისოფელი. სულის ჩამდგმელ, გამაჯომარდებელ უიდეალოთ, რაც უნდა დაბალი ხარისხის იყოს იგი, ადამიანს არ შეუძლია ცხოვრება, იღუპება და კვდება ხალხის სიქველე, იხრწნება საზოგადოება. უიდეალოთ, რა თქმა უნდა, არც რომსა და საბერძნეთს შეეძლო ცხოვრება.

დადგა დრო, როდესაც რომის შერყეული ბურჯები დაემხვნენ და რომის იმპერიას მოესპო სიცოცხლე. იგი დაემხო, კიდეც უნდა დამხობილიყო, რადგანაც ის იდეალები, რომლებიც მას ასულდგმულებდნენ დროებითნი იყვნენ და, როდესაც მათი ძლიერება მთლად დაიცალა, მან ველარ მოახერხა ცხოვრების განგრძობა. დაბერებულ და ღონე მიხდილ სხეულის გასაახლებლად საჭირო შეიქმნა ახალი ძალების შთაბერვა. ადამიანის სულიერი ცხოვრებისათვის საჭირო შეიქმნა ახალი საფუძვლების მოძებნა. ძველი ქვეყნიერების ნანგრევებზე შესაძლებელი იყო ჩასახულიყო და აყვავებულიყო ახალი ცივილიზაცია, მაგრამ ამისთვის საჭირო შეიქმნა ახალი იდეა და ჩვენ ვხედავთ, რომ ახალ დაბადებულ ცივილიზაციას საფუძვლათ ედება ახალი იდეალები. ძველი ქვეყნიერება ეძებდა სხეულის სილამაზეს, მუხლს იდრეკდა ფიზიკურ ღონის წინაშე. ახალი დროის ადამიანები ეძებენ სულის სილამაზეს, მუხლს იყრიან ზნეობრივ ძლიერების წინაშე. ეხლა კენტრო სიმძიმისა გარედგან გადადის ადამიანის შინაგანობაზე, ეხლა ადამიანის სულს აღირებენ ყოველ საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და ყოველ ისტორიულ ცხოვრების დასაწყისად — წყაროდ. ადამიანის გულის ამაღლება, სულიერი ზრდა პიროვნებისა, აი რა ხდება საზოგადოების უმთავრეს საზრუნავ საგნად. სხვა ყოლიფერს მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. „ეძიეთ პირველად სასუფეველი ღვთისა და ესე ყოველი მოგეგოს თქვენ“, ამბობს სახარება. „ღვთის სასუფეველად“ აქ იგულისხმება უბიწო ცხოვრება — ქვეყანაზე, ცხოვრება არა ძალმომრეობაზე და ბრიყულ ეგოიზმზე დამყარებული, არამედ საყოველთაო სიყვარულის საფუძველზე, დამყარებული ღვთის სიმართლეზე, პიროვნების კანონიერ უფლებათა აღიარებაზე. ამ „სასუფევლის“ დამყარება დამოკიდებულია ადამიანის ზნეობით გარდაქმნაზე მის შინაგან არსების სრულს განახლებაზე. „ეშმარიტად გეტყვი შენ, უთხრა ქრისტემ ნიკოდიმოსს, უკეთუ ვინმე არა იშვეს მეორედ, ვერ იხილოს სასუფეველი ცათა.“ (ი. 3, 3.) მეორე ადგილზე ი. ქრისტე ამბობს: „სასუფეველი ღვთისა არა მოვიდეს ზმნით (თვალხილულად) და არცა სთქვან აჰა აქა, ანუ იქი, სასუფეველი ღვთისა შორის თქვენსა არს.“ ეს ახალი იდეალია, არა დროებითი და წარმავალი, არამედ სამუდამო, უკვდავი. ძველი რომისა და საბერძნეთის იდეალების წინწასწრობა შესაძლებელი იყო და კიდეც წაუსწრო ცხოვრებამ, ამისთვისაც დაეცა ძველი ქვეყანა. ქრისტიანობისგან წამოყენებული ახალი იდეალი უსაზღვროა, მისი მიღწევა და მით უფრო წინ წასწრობა შეუძლებელია. „იყვნენით სრული, ვითარცა მამა თქვენი ზეციერი სრულ არს.“ აი ანდერძი მხნელისა ადამიანისადმი. ეს ანდერძია თავდები ჩვენის ცივილიზაციის დაუსრულებელი მომავალისა. ახალი კულტურა თვით ქრისტიანობის გულში, მის დაულევნელ წარმატების მექონ ნიჭში, ყოველთვის ჰპოებს თავის მომავალ განახლების და განვითარების წყაროს.

ეხლა ჩვენ თვალწინ იშლება ქრისტიანობის თითქმის ორი ათასი წლის ისტორია; ჩვენს თვალს შეუძლია ეხლა გაზომოს შინაგანი, თანდისთანობითი მისი განვითარება, ღირსება მისი მძლავრი გავლენისა კაცობრიობის სინდისსა და ცხოვრებაზე. და ჩვენ ვხედავთ, რომ ქრისტიანობას ჯერ კიდევ არ გადაუშლია მთელი შინაარსი თავისი აზრისა, არ უთქვამს თავის უკანასკნელი სიტყვა. ღვთის სასუფეველი რომ განხორციელდეს ქვეყანაზე, კაცობრიობამ კიდევ დიდხანს და მედგრად უნდა იმუშაოს გულის გასაუმჯობესებლად, მისი ზნეობით აღზრდისათვის. სახარებამ ბევრი კეთილი გრძნობები აღძრა, შეეხო ადამიანის გულის ისეთ სიმებს, რომლებიც ჯერ ცნობილნი არ იყვნენ, გამოაღებინა მათ მომხიბლავი მშვენიერებისა და შეუმართებელი ძლიერების ხმები, მაგრამ ეს ხმები ჯერ კიდევ არ შეერთებულან ძლიერ აკორდებათ, დიდებულ სიყვარულისა და სიმართლის საგალობელად.

თუ მეცნიერებას უნდა სარწმუნოების ადგილი დაიჭიროს, უნდა თავის თავზე მიიღოს სარწმუნოების მოყალეობა და რადგანაც უპირატესობას თხოულობს, ვალდებულია მისცეს კაცობრიობას საუკეთესო ღონის ძიებანი, უ-

ვენოს მოკლე გზა უკანასკნელი მიზნების განსახორციელებლად ცხოვრებაში. მეცნიერებას მართლაც ჰგონია, რომ იგი სავსებით შესძლებს ამას. იგი საქვეყნოდ ღაღადებს, რომ მხოლოდ ცოდნას შეუძლია მოუპოვოს კაცობრიობას საუკეთესო მომავალი: „თუ გვსურს ცნობაში მოვიყვანოთ ის პირობები, რომლებზედაც დადამოკიდებულია ახალი ცივილიზაციის წარმატება, — ამბობს ბოკლი, — უნდა ვეძიოთ იგი ცოდნის შეძენის და განვითარების ისტორიაში. ფიზიკურ მოვლენებს და ზნეობრივ მიზეზებს, რასაკვირველია, ხანდისხან დიდი არეულობა შემოაქვთ საქმის საზოგადო მიმდინარეობაში, მაგრამ გადის დრო და იგინი თანდისთან წესიერებაში მოდიან და ამ ნაირად გზას უთმობენ გონების კანონებს. იმოქმედონ ამ დაბალ და მეორე ხარისხოვან მოქმედთა დამოუკიდებლად.

ასეთი გადაჭრილი მსჯელობა დამყარებულია იმ აზრზე, რომ უდიდესი განვითარება, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს ცივილიზაციაში, წარმოადგენს უმთავრესად გონებრივ მოძრაობას და ვითომ ზნეობრივი პროგრესი საზოგადოებისა პირდაპირ დამოკიდებულია ცოდნის ზრდაზე. ასეთი მსჯელობა ამტკიცებს ადამიანის გულის არ ცოდნას, ასე სჯიან ისინი, ვინც არ იცის რა არის მეცნიერების მოწოდება და რის მიცემა შეუძლია მას. მეცნიერების სარბიელი ფართოა, თუ გნებავსთ, დაულევნელიც, მისი საკითხები დიადია. იმან იმდენი გაუკეთა და კიდევ გაუკეთებს კაცობრიობას, რომ თვით მისი სახელის ხსენებაც კი წმიდა უნდა იყოს განათლებულ ადამიანთათვის; მაგრამ კულტურული წინსვლის მამოძრავებელი ძალა მაინც ინტელექტი არ არის და მხოლოდ ერთი ცოდნა ვერ გააკეთილშობილებს ზნეობას. მეცნიერება აფართოებს ადამიანის გონების ჰორიზონტს, ავითარებს მის ძალებს, აძლიერებს ჩვენს უფლებას ბუნებაზე, მაგრამ ადამიანის სულიერად განახლება, ზნეობრიკად მისი ამაღლება მას სარწმუნოების დაუხმარებლად არ შეუძლია. დავანებოთ თავი ბეერ მაგალითებს და წარმოვიდგინოთ თუნდა ფრანგი პანამისტები: ვინ იყვნენ იგინი: სენატორები, პარლამენტის წევრები, გავლენიან გაზეთის რედაქტორები, საზოგადოთ დიდი ნიჭისა და ცოდნის პატრონები და საერთოდ ავაზაკების ბრბო. სამწუხარო მოვლენაა, მაგრამ ბუნებითი კია! ადამიანის გული, ვისაც უნდა ეკუთვნოდეს იგი, მოწინავე მწერალს თუ უბრალო დღიურ მუშას, ღელდება ერთ და იმავე ვნებათა მეოხებით. უბრალო გალილეველმა მეთევზემ ზნეობის სიმაღლით, შეიძლება, ფილოსოფოსსაც გადააჭარბოს. შეადარეთ, მაგალითად ზნეობრივი სახე ბეკონ ვერულამელისა იმ ნეგრს, რომელიც დასურათებულია „ბიძია ტომის ქოხში“ და თქვენ მიხვდებით, რომ სწავლას შეუძლია შეცვალოს ბოროტების გარეგანი შეხედულობა, შემოსოს იგი უფრო ნაზი ტანისამოსით, მაგრამ სრული მოსპობა ბოროტებისა, გაკეთილშობილება ზნეობისა მას არ შეუძლია. მეცნიერებას გულის განახლების გზით არ შეუძლია დაამყაროს ქვეყანაზე სასუფეველი ღვთისა.

ე. ჩ—ძე.

პროფესორ მაქს მიულლერის აზრი მატერიალიზმზე.*)

(მისი წერილებიდგან).

(რუსულით).

აი ჩვენ წინ ადამიანია: იგი ცხოვრობდა და აღარ არის. ყოლიფერი რაც კი საზოგადოთ მიღებული აზრით ამ კაცს შეადგენდა: მისი სხეული, ენა, გამოცდილება ცხოვრებაში უკვე აღარ არსებობს. ყოლიფერი ეს ჩვენ არ შემოგვიტანია ჩვენთან ერთად ქვეყნიერებაში და არც მიგვაქვს იქიდგან. რა არის ეს ჩვენი სხეული კარგათ დავინახავთ, თუ ჩავიხედავთ საფლავში. მეტყველება, რომელიც სალაროა მთელი ჩვენი ქვეყნიერი გამოცდილებისა, მეტყველება კი უკვდავია? — ვილაპარაკებთ თუ არა ჩვენ საიქიოს ინგლისურად, ან სანსკრატულად? ენათა მკვლევარებმა კარგად იციან, რა მასალისა-

*) იხ. „შინ. საქმეები“ № 10.

გან შესდგება მეტყველება, რამდენი დროებითი და შემთხვევითი რამაა მის უცვლელ ფორმებში და ამიტომ ვერ იტყვიან იმას, რომ მეტყველება სამუდამოდ შეკავშირებული იყოს ბერძნულ და ლადინურ კანონიერ და უკანონო ბრუნვებთან და ზმნათა მიმოხვრებთან. მაშ რა რჩება? არა პიროვნება, არა ეგრეთწოდებული „მე“; ამ „მე“ ს, პიროვნებას ჰქონდა თავის დასაბამი (დასაწყისი), მიმდინარეობა და აღსასრული (ბოლო). რასაც კი დასაბამი აქვს, სჩანს ოდესღაც არ არსებობდა; ხოლო რაც არ არსებულა, მას დაბადებისათანავე თან ჰყვება თესლი თავის აღსასრულისა. რჩება მაშ მხოლოდ ერთი რამ, რაც დაუსაბამოა და დაუსრულებელი, რაც იმყოფება ყოველ ჩვენგანში, რაშიდაც თითეული ჩვენგანი ჰპოებს თავის ჭეშმარიტ არსებობას, რითაც ჩვენ ვცოცხლობთ, ვმოძრაობთ, ვართ. ყოველი დროებითი „მე“ არის მხოლოდ ერთი მემილონედი ამ უკვდავ არსების გამოჩინებისა.

ყოველ ადამიანში ჩვენ შეგვიძლია გვიყვარდეს და შევრაცხოთ უცვლელად მხოლოდ ის, რასაც სამარადისოდ, ან საღვთოდ ვხადით. დანარჩენი სუყოლიფერი იბადება და ჰქრება, სწორედ ისე, როგორც დილას დაიბადება დღე და საღამოს გაჰქრება, მზის სინათლე კი სამარადისოდ რჩება. შეიძლება სთქვან, რომ ეს მყოფი, ის, რაც რჩება, ძლიერ ცოტაა, პატარაა. მაგრამ ყოველ შემთხვევაში იგი ყველა დანარჩენზე უდიდესია. სინათლეც მცირეა; შეიძლება იგი მხოლოდ რხევას წარმოადგენდეს, მაგრამ რა იქნებოდა ეს ქვეყნიერება უმისოთ? განა ჩვენ არ დავიწყეთ ჩვენი სიცოცხლე ამ მყოფისაგან და არ ვაგრძელებთ მას (სიცოცხლეს), ბოლომდის მასთან? არაფერი არ გვაძლევს უფლებას, ვიფიქროთ, რომ ამ მყოფს აქვს დასაბამი და, მაშასადამე, ექნება დასასრულიო. დასაბამი ჰქონდა ჩვენ „მე“-ს, ჩვენ პიროვნებას, დროებით ნიღაბს, რომელიც ვითარდება ამ ცხოვრებაში, და არა იმ მყოფს, რომელიც ატარებს ამ ნიღაბს. ამისათვის, როცა ჩვენ გვეუბნებიან, სიკვდილს შემდეგ აღარ ვიარსებებთ, როგორც დაბადებამდისაც არ გვიარსებებიაო, ამაზე შეგვიძლია მიუგოთ, რომ ამ დებულებას (ამ აზრს) ჯერ კიდევ დამტკიცება ეჭირვება. უწინარეს ყოვლისა რას გულისხმობენ იგინი სიტყვაში „ჩვენ“? თუ ჩვენ დაბადებამდის არ ვყოფილვართ, რა დაიბადა. დაბადება არ ნიშნავს არარაისაგან რამედ ქცევას. რაც დაბადებულა, ან ტარებულა, — უკვე არსებულა, ვიდრემე განვითარებულა, დაბადებულა ან ჩასახულა, ვიდრემე გამოჩენილა ქვეყანაზე. საზოგადოდ გამოჩინება რამესი არარაისაგან ჩვენ უაზრობად გვეჩვენება. გვიგვრძვნია ჩვენ ოდესმე ან შეგვიმჩნევია, რომ ჩვენ აქ ამ ქვეყნად მივიღეთ დასაბამი? გვინახავს ჩვენ ქვეყნად რისამე დასაწყისი? შეგვიძლია განა წარმოვიდგინოთ საზოგადოთ დასაწყისი ან დასაბამი? მისთვის რომ ჩვენ აქ დედამიწაზე მიგვეღო დასაბამი, უნდა ყოფილიყო ის, რასაც უნდა დაეწყო, რაც უნდა იყოს იგი გალია (клѣточка), თუ მყოფი — ყოლიფერი, რასაც ჩვენ „მე“-ს, პიროვნებას, ხასიათს და სხვას ვეძახით, ვითარდებოდა დედამიწაზე, ეს ყოლიფერი მიწურია, ხოლო მყოფი არ არის მიწური. თუ ჩვენ აქ დედამიწაზე სრული კმაყოფილი ვიყავით ამ მყოფით, თუ ჩვენ ყოველ ჩვენ საყვარელ არსებებში გვიყვარს მხოლოდ უკვდავი მყოფი და არა უბრალო მოვლენანი, რა არის დაუჯერებელი რომ მომავალ ცხოვრებაში იგივე იქნეს, რომ არსებობა არ შესწყდეს და რომ მყოფი ხელ ახლა იწყებს გამოჩინებას, თუნდაც, რასაკვირველია, ახალ, უცნობ, სახით, რომელიც ჩვენ არც კი გვსიზრმეია.

ამ ნაირად, იმ საზოგადოდ მიღებულ რწმენაზე, რომ ჩვენ შემდეგ სიკვდილისა

ვუბრუნდებით იმავე არსებობას, რომელშიდაც დაბადებამდის ვიყავით, მე ვუპასუხებ: „დიახ, თქვენ მართალი ბრძანდებით, თუ სიტყვა არსება გესმისთ გეგელის აზრით; ხოლო თუ თქვენ გულისხმობთ, რომ ჩვენ შემდეგ სიკვდილისა ვუბრუნდებით არ ყოფნას (ე. ი. ჩვენი პირადი ცხოვრება სრულიად ისპობა), მე მაშინ პირდაპირ გიპასუხებთ: არა, ჩვენ სიკვდილ შემდეგაც არ ვუბრუნდებით არ ყოფნას, რომელიც დაბადებამდისაც არ ვიცოდით“. რანი ვიქნებით, ამის ცოდნა ჩვენ არ შეგვიძლია, ხოლო რომ ვიქნებით, ეს უეჭველად (неизбѣжно) გამომდინარეობს იქიდგან, რომ მყოფს, ღვთაებრივ ნაწილს ჩვენში არ შეიძლება ექნეს არც დასაბამი და არც დასასრული. ჯერ კიდევ ძველი მოაზრენი ამბობდნენ: საუკეთესო ცოდნა იმაზე თუ რა ვიქნებით შემდეგ სიკვდილისა, შეგვიძლია შევადგინოთ იქიდგან, თუ რა ვიყავით დაბადებამდის.

ბოსლეველი.

(შემდეგი იქნება).



ᲐᲮᲚ Ო-ᲛᲐᲮᲚ Ო.

(დასასრული[1])

მაშინ განუმტკიცდება მოძღვრისადმი წმიდა მამა-შვილური გრძნობა და სიყვარული ხალხს, მაშინ იწამებს მოძღვრის ნაქადაგებ ღმერთს ჭეშმარიტ ღმერთად, როდესაც პირველი უკანასკნელს საქმითაც დაუმტკიცებს, რომ იმდენად საჭიროა არსობის პური მისი სულიერი შვილებისათვის, რამდენადაც ეს აუცილებელი საჭიროა თვით მოძღვრისათვის.

თუ ვინმესთვის საჭიროა გულწრფელობა, ეს აუცილებლად მღვდელს ეჭირვება და მით უმეტეს მაშინ, როდესაც ის კათედრაზე სდგას საქადაგებლად გამზადებული.—მქადაგებელი არ უნდა მოსტყუვდეს მითი, რომ მის სიტყვას გულმოდგინეთ ისმენენ. ეს კიდევ არ ამტკიცებს მას, რომ ხალხმა შეისისხლ-ხორცა მისი მოძღვრება. მას იმდენად უხაროდეს, რამდენადაც გრძნობდეს, რომ მართალს მეტყველებენ ბაგენი მისნი და რამდენადაც თვითონ სჯეროდეს მისი სიტყვის ჭეშმარიტება. ვის არ დააფიქრებს მქადაგებელის გულწრფელობა მაშინ, როდესაც ის ერთს და იმავე საგანს რამდენ ნაირადაც უნდა—ახსნის? მაგ. როცა დიდი ბრიტანია ბურებს აწიოკებდა, მქადაგებლები ზიზღის თვალით შეჰყურებდნენ ინგლისელების ძალ-მომრეობას; დიდ უსამართლოებად და უღმრთოებად მიაჩნდათ ხალხის ხოცვა-ჟლეტა და სისხლის ღვრა, მაგრამ როცა შემთხვევამ მოიტანა, იგივე მქადაგებლები ენას ილესავდნენ, მეხსიერებას იმახვილებდენ, რომ მოეგონებიათ ძველი და ახალი აღთქმის რომელ წიგნში და სად ეწერა, რომ ომი ღმერთს არ სძულს, ის ღვთისგან ნაკურთხია და მაშასადამე არც არავინ უნდა ითაკილოს, რომ ადამიანის სისხლში, ადამიანივე იღრჩობოდესო... თუ მორიდებამ იმოქმედა მქადაგებელზე, ვის მოერიდა სალმრთო მქადაგებელი? წმ. ვასილი დიდი, რომელმაც ბრძანა: „სამს წელიწადს წმ. ზიარება უნდა აღეკვეთოს მას, ვინც ომში მონაწილეობას მიიღებსო?“

მღვდელიც არ არის ცით მოვლენილი. ისიც იმავე ნაწილებისგან შესდგება, რა ნაწილებიც შეადგენენ საზოგადოდ ადამიანს. მაშასადამე ისიც შედის შეცდომაში, ისიც სცოდავს, როგორც ხორციელი კაცი, მაგრამ როგორც მღვდელი, რაკი მან ცხოვრებაშა აღირჩია ქრისტეს მოციქულობა-შუამავლობა, რომ გარდასცეს ქრისტეს სიტყვა-სახარება ხალხს, პირველად მან თვითონ უნდა განერიდოს მას, რის მორიდებას ის ხალხს ურჩევს ქრისტეს სახელით. პირველად თვითონ მაგრად უნდა იპყრას ხელთ ჯვარი ქრისტესი—სარწმუნოება; პირველად მან თვითონ უნდა გადისროლოს თავის გულში სარწმუნოებრივი ღუზა (იაკორი)—სასოება და პირველად მან თვითონ უნდა ჩაჰყაროს თავის გულში ქრისტეს სჯულის უმთავრესი და უმაღლესი საფუძველი—სიყვარული და სიყვარული, მოციქულის სიტყვისამებრ,—უფროს ყოვლისა.

[1]) იხ. „შინაური საქ.“ № 12.

სადაც სიყვარული არ არის, იქ მოღვაწეობაც ფუჭეა. საჭიროა მოღვაწემ სიყვარული დასთესოს და მას მზად აქვს ყანა, ნაყოფი აუცილებელია. სიყვარული იქაც იკვლევს გზას, სადაც საეჭვო გვგონია მისი გავლენა... ბევრი იჩემებს დღეს ღვთის უარის ყოფას, რაც ზოგს დაჯერებით მოსდის, ზოგს წაბაძვით და ზოგს ამაყობითაც კი. ასეთს პირებს ზოგი მოღვაწეთაგანი განზე უდგას. ეს შეცდომაა. მათდამი სიყვარულს შეუძლია მათი ჭეშმარიტი გზაზედ დაყენება. სიყვარულს შეუძლია ურწმუნო მორწმუნედ გახადოს...

წმ. იოანნე ღვთისმეტყველი არათუ მხოლოდ სიტყვით ქადაგებდა: „შვილო გიყვარდეს ერთმანეთი“,—საქმითაც ამტკიცებდა ამას.

აი მაგალითი:

ღვთისმეტყველმა მიაბარა მოსამზადებლად ერთი ყმაწვილი კაცი პოლიკარპე მღვდელთმთავარს. ეს ყმაწვილი დიდხანს ატარებდა ქრისტიანულ ცხოვრებას მღვდელმთავართან და შემდეგ გამოცდისა, მოინათლა.—საუბედუროდ, ის მალე გაეცნო არა კეთილ ხასიათის კაცებს, რომელთაც შეიყვანეს განსაცდელში... ის გახდა საშიში ავაზაკი და კაცის მკვლელი. მღვდელმთავარმა ჩარიცხა ახალნათელღებული მკვდრად ღვთისათვის, მაგრამ აი მობრუნდა ღვთის მეტყველი და მოიკითხა ჭაბუკი. მღვდელმთავარმა ტირილით მოახსენა, რომ: „ის მოკვდა, მოკვდა სარწმუნოებისათვის, გახდა ავაზაკი“. ღვთისმეტყველმა დაწვრილებით გაიგო ყმაწვილი კაცის ამბავი და განუსაზღვრელ მწუხარებას მიეცა. მან მოითხოვა ცხენი და ტირილით გაექანა მთისკენ, სადაც ეგულვებოდა ავაზაკი. მოციქული მალე დაიჭირეს ავაზაკებმა და მიჰგვარეს მეთაურს, სწორედ იმ ავაზაკს, რომელსაც სტიროდა და ეძებდა მოციქული. ავაზაკმა რა წამს დაინახა იოანე, გაიქცა, არ უნდოდა მიჰკარებოდა მას, მაგრამ გაიოეკიდა ღვთის მეტყველი, მირბოდა ისიც თავდავიწყებით და მისძახოდა: „შვილო ჩემო! რისი გეშინია შეუძლებელი მოხუცის, ნუ გრცხვენია, შემიბრალე, მობრუნდი... მე ჩემს სულს დავსდებ შენთვისო“. ავაზაკი შეჩერდა, მან აიყარა იარაღი და დაეცა მოხუცის წინ. „მე არასფერი მეშველება, ჩემი ხსნა არ შეუძლებელიაო“, სტიროდა ის, მაგრამ მოციქულმა დაუჭირა კაცის მკვლელი ხელები, უკოცნიდა და ეეედრებოდა: „წამომყევი შვილო, ნუ გეშინია, მე ვსთხოვ უფალს, რომ მოგიტეოს შეცოდებანიო...“

ჭაბუკი მოუბრუნდა ეკკლესიას, მხურვალე ცრემლით განბანა მისი ცოდვები და შემდეგ შეიქმნა ერთი დამამშვენებელთაგანი სმირნის ეკკლესიისა.

სიყვარულმა სძლია ცოდვა. წარწყმედილი იხსნა. ის, ვისაც მღვდელმთავარი მკვდრად სთვლიდა, აღსდგა.

დღეს, რომ ვიკითხოთ: რა ზომებია საჭირო, რომ ხალხს სარწმუნოება განუმტკიცდესო“. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ უმრავლესობა მაინც ასე მოგვიგებს: „საჭიროა დიდებული არხიტექტურით აღშენებული და ძვირფასად მორთული ეკკლესიები, მაღალ ნასწავლი და კარგი მქევრ-მეტყველი მღვდლები, კარგი ხმიანი დიაკვნები, მგალობელთა გუნდები; ოქრო მკერდით ნაქსოვი შესამოსლები, დიდი ჯამაგირებიო და სხ.“ თქმა არ უნდა, კარგია, მაგრამ საეჭვოა, რომ ამით ვინმე მიზანს მისწვდეს; მიზანს, ზნეობრივად გაკეთილშობილებისას აქ და სულის ცხოვნებისას საიქიოში. ეს გარემოება დროებით ხალხს მიიზიდავს, მაგრამ როგორც „ოპერა“, სადაც „მშვენიერებას“ და „სიყვარულს“ უმღერიან... თავის-თავად ცხადია, რომ მიმზიდველი გარეგნული მშვენიერება ყოველგან საჭიროა, მაგრამ ეს, რომ ვინმემ იდეიალად გაიხადოს, ეს სწორედ თავის მოტყუება იქმნება... რა უნდა ითქვას იმ გარეგნობით მშვენიერ არგანზე, რომელიც ერთის მორთვით ასტეხს სხვა და სხვა ჰანგზე ყღერას, მაგრამ არც გული აქვს და არც სული.

„ბერი ვინმე მოღვაწეობდა გამოქვაბულში და იცოდა მარტო უფალო შეგვიწყალენ, ყავდა ერთი მორჩილი და მასაც ამ ლოცვას ასწავლიდა. მანვე იცოდა ხის ხელობა, აკეთებდა ავეჯს, აგზავნიდა მორჩილის ხელით ქალაქში—გასასყიდათ და ნაშოვნი ფულით

პურს ყიდულობდენ ხორცის საზრდოთ. ერთ დილას მორჩილი ადრე მორჩა ვაჭრობას და გასწია მონასტრისაკენ, საიდანაც რეკვა მოესმა. შევიდა მონასტერში მორჩილი, მაგრამ რა ნახა მისმა თვალებმა და რა მოესმა მის ყურებს? აქ ძვირფასი მხატვრობა, ძვირფასადვე შემოსილი ბერები, მშვენივრად მორთული მონასტერი, მწყობრი გალობა და რა გინდა სულო და გულო. ერთის სიტყვით თავი საოთხეში იგრძნო ხორციელმა კაცმა. წირვა რომ გათავდა დაღონებული მორჩილი დაბრუნდა მონასტერში და მორიდებით გამოუცხადა ბერს რომ მან საოცარი სანახაობა ნახა, არ სჯერდება მარტო უფალო შეგვიწყალენ და ჰსურს მონასტერში შესვლა მორჩილად. ბერი შეწუხდა, მაგრამ რას იზამდა... მორჩილი შევიდა მონასტერში და გამოუთქმელ სიამოვნებას გრძნობდა... გავიდა რამოდენიმე ხანი და ერთ ცისკრის დროს ცა შავად მოიფარა და საშინელი გრგვინვა-ქექა ასტყდა. სასტიკი ბუნების მოვლენისა გამო დაფრთხა ქალაქი. შეშინდა ბერებიც, ისინი გამოვიდნენ კარებზე და დაიწყეს მოკლედ ლოცვა: „უფალო შეგვიწყალენო“. ცა მოიწმიდა, მაგრამ მორჩილი დაფიქრდა: „ეს რა ამბავია—სთქვა მან—ამ უცნაური გაჭირვების დროს, როცა ცა დედა-მიწას დაგლეჯას ემუქრებოდა, შესწყდა მშვენიერი გალობა, გრძელ-ჟამიერი, სასოების მომგვრელი კილოთი კითხვა– მშვიდობიანები, დაჰყარეს ბერებმა ოქროთ ნაქსოვი შესამოსლები და მარტო უფალო შეგვიწყალენი ილოცეს, მაშ უფალო შეგვიწყალენ ყოფილა თავი და ბოლო ლოცვა და მას გამშვენებაც არ ნდომებია, ვისაც სულისთვის მოუცლიაო.“ დასტოვა მორჩილმა მონასტერი და გასწია ისევ გამოქვაბულში, სადაც დაუხვდა მას ბერი, მლოცველი უფალო შეგვიწყალენისა.

საფრანგეთში, გარეგანი მშვენიერებით უმწვერვალეს ხარისხამდე ასულ წირვა-ლოცვამ, რომ ხალხი საკმაოდ ვერ მიიზიდა, ერთმა იქაურმა მოძღვართაგანმა დააყენა კითხვა: „საჭიროა სასულიერო შინაარსის წარმოდგენები ვმართოთ, რომ ბლომად მივიზიდოთ მსმენელიო.“ ესეც ხომ უკანასკნელი საშუალება იქნებოდა გარეგანი მშვენიერებისა, რაზედაც აუცრუვდებოდა კაცს გული და აუცრუვდა კიდეც.

წირვა-ლოცვაზე ხალხის მიმზიდველი ხერხების გამოგონება იმდენად არ შეესაბამება სარწმუნოების დაცვას, რამდენად თვით ეს ხერხები უნაყოფო და პირიქით მავნებელიცაა. ხალხის მიმზიდველი საშუალება თვით ჩვენშივე უნდა ვეძიოთ და ვპოვებთ. საზოგადოება წირვა-ლოცვაზე მისით უნდა მიდიოდეს და მივა კიდეც, როცა მას ეკლესიის ამბიონზე დაუხვდება ქრისტეს ნაქადაგები სიყვარული.

* *
*

3.—როცა რეკავენ შენც უნდა გაიხედო გარეთ, უნდა გაიგო სად რეკავენ და რისთვის. იქმნება შენს სახლს წაუკიდეს ცეცხლი, გმართებს, ხელი გამოიღო.

გაისმის რეკვა, გაისმის შეამიანი ისრის შხუილი და შენ გაჩუმებულხარ, სოფლის სულიერო მოღვაწეო (მყავს სახეში ზოგიერთები)! ლამის ცეცხლი წაგეკიდოს და შენ გაქცევის მეტი არა დაგრჩენია-რა.—რისთვის ხდება ეს? იმიტომ, რომ ცხოვრება სდუღს და გადმოდის, ცხოვრება წინ მიისწრაფის და შენ-კი არ გინდა წინ ბიჯი წარსდგა... შენ არ გინდა ისწავლო, გგონია რომ გეყოფა, რაც ისწავლე. ცოტაა ეს. არ გინდა იმის წაკითხვაც, რას ამბობენ შენზე ჟურნალ-გაზეთებში. არ ხედავ რას გეუბნება შენი შვილი, რომელიც მოსამზადებელ კლასში გყავს. რითი აპირობ ამ ბალღს პასუხი გასცე? განა ჯოხით? ჯოხი რა საკადრისია? ჯოხი აქ სამარცხვინო იარაღია. იმ იარაღით უნდა მიმართო შენც, რა იარაღითაც შენზე მოდიან, მაგრამ არა ხარ შეიარაღებული და არც გაისმის შენი ხმა; მართალია, უთავბოლო როტვას კიდევ სიჩუმე სჯობია, მაგრამ სიჩუმე დღეს სიკვდილის მომასწავებელია. მაშ რაღა?—ისწავლე, მეტი ღონე აღარ არის... ჟურნალ-გაზეთები გძულს, წიგნს ხელსაც არ ავლებ, წაკითხვა იმდენად გეზარება, რამდენადაც მოქმედობს შენზე წაკითხულის შინაარსი და სწორედ ამის გამოა, რომ შენზე ნავარდობენ.

„სწერე, ილაპარაკე, იყვირე ყველამ, ვი-

საც ოდნავ მაინც გაქვს უანგარო სიყვარული მამულისა, კეთილისა და ქეშმარიტებისადმი“. ამბობს რუსის მწერალი ბელინსკი.—ამ მოწოდებაში შენც ურევიხარ. გიწვევენ არა თუ სწერო და ილაპარაკო, იყვირო კიდეც ქეშმარიტებისათვის. არ კმარა ეს. უნდა გახსოვდეს, რომ ქრისტეს წინ აღთქმა გაქვს დიდებული, როცა შენის სურვილით დაუჩოქე შენ ხელდამსმელს, რომ ქეშმარიტება არა თუ ხმაურობით დაიცვა, სიცოცხლეც შესწირო მას, როცა ამას საჭიროება მოითხოვს..

როცა შენ უსამართლოდ გამტყუნებენ, მისდექი შენის მწყემსურის ყავარჯენით და დაამტკიცე—დაასაბუთე, რომ შენ არ გეკუთვნის ის, შენ დამნაშავე არა ხარ, მაგრამ როდესაც სამართლიანად გამხილებენ,—უკუსდექ, გასწორდი, სანამ ხელზე არ დაგარტყამენ სიმართლის ჯოხს და გაგაგდებიებენ იმას, რაც მოვალე ხარ თვითონ გააგდო... სწორედ არას გარგებს ძველებურ-ჩვენებურობა; ახალი დროისთვის შენც შესაფერად მოემზადე—და მე, ყველაზე მეტ ცოდვილს, შენ მომიტევე მამაო ეს თავხედური მხილება, რაც გულწრფელობით მომდის და არა ვითომც მსურდეს, რომ შენს პიროვნებას ლაქი წავცხო.

3 აპრილი 1908 წ.

კირილე წუთისოფელი.

რამდენიმე დღე ზუგდიდის მაზრაში.

კეკლუცი და ლამაზია საზოგადოთ საქართველო, მაგრამ ამ მხრივ ვერც ერთი კუთხე საქართველოსი ვერ დეედრება ზუგდიდის მაზრას. ზუგდიდის მაზრა რაღაცა საოცრებო ნაწილია საქართველოსი, კალმით მოხატული მშვენებაა და ქართველი კაცის გულს, რომელიც არაა დანატრებული ბუნების სილამაზეს, პირველი ნაბიჯიდანვე ატყვევებს, ჯერ გამოუცდელი სიამოვნებით ავსებს და მოსავს არა ქვეყნიური აღფრთოვანებით. დამპალი კუნძი უნდა იყო და არა ცოცხალი ადამიანი, რომ არ გაგაერთოლოს და აღტაცების მორევში არ შეგაცუროს იმ მომჯადოებელმა პონორამამ, რომელიც გეშლება თვალწინ ურთის მაღლობიდან. მდეკივით გაწოლილი, ოთხივ მხრით დაფნისა და ზეთის ხილის ხეებით, (ურთა), აქეთ ცხრა თვალი მზის სხივებ ქვეშ იალ-ციალით მოლაპლაპე ზღვის უშველებელი სარკე, იქით თვალ გადუწვდენელი, სუფრასავით სწორი, წყარო-მდინარეებით და ტყე-ჭალებით შემკული ზურმუხტის ველი, მერე თოვლით მოსილნი კავკასიონის ბუმბერაზნი—აი სურათი, რომლის დანახვაზე გული ძლივ' დაგიყენებია საგულეში და სიამოვნების ერუანტელი გალხზე გიყენებს თმას! გამგელებით ეწაფები ამ დიდებულებას, გინდა მთლათ შეისუნთქო და გულში ჩაისვენო ეს მშვენება, სიხარბით ჩასცეკებიხარ ამ სიზმარიკით მომხიბლავ სურათს და ველარ გამაძღარხარ მისი მზერით, ველარ მოგიშორებია მისთვის თვალი!

მაგრამ დაილოცა, ღმერთო, შენი მაღალი განგებულება! ქვეყნიერებაზე სისრულეს აუცილებლად თან ახლავს ნაკლულევანებაც და მშვენების ნეკზე უეჭველად ჩამოკონწიალებულია სიმახინჯეც.

რამდენადაც დამატკბობელი და აღმამფრთოვანებელია ზუგდიდის მაზრის ბუნების იშვიათი მოხდენილება, იმდენად გულჩამწყვეტი და სევდა-ბოლმის მომგვრელია მის მკვიდრთა დღევანდელი ყოფა-ცხოვრების სურათი.

აი მოკლეთ ამ ცხოვრების ზოგიერთა მხარეები:

გზა და გზა თქვენ ყურადღებას იზიდავენ ზოგიერთა სახლებზე გამოკიდული ჟესტის ფიცრები რუსული წარწერით, რომ აქ სასწავლებელიაო. უგემური, ულაზათო დი ლატაკური გარეგანობა საშკოლო ბინისა გულს გიწყლავს და ეკითხები შენს თავს—რის გამოა, რომ ამ მშვენიერ ბუნებას ვამახინჯებთ ასეთი საღორეს მსგავსი სოროებით? რატომ სულიერ მოთხოვნილებად არა გვაქვს მიმჩნეული, რომ სასწავლებელი, როგორც ცოდნის შესაძენი ტაძარი, გარეგანობითაც შნოიანი და მოხდენილი იყოს, რომ თვით მისმა სახემ, მისმა გარეგანობამ იქონიოს მოსწავლეებზე აღზრდითი და განმავითარებელი ზეგავლენა.

მაგრამ დავეთხოვოთ ამ ეებს და შევიდეთ

სასწავლებელში. სახელმწიფო ენის გაკვეთილია. თუმც დამახინჯებული და მეტად უსწორო ვამოთქმით, მაგრამ სამაგიეროდ თამამად მოგითხრობს ბავშვი გაზეპირებულ გაკვეთილს. ცნობის მოყვარეობა გაიძულებთ დარწმუნდეთ რამდენად შეუგნია მოსწავლეს ის, რასაც ზეპირად გადმოგვცემთ; აძლევთ შესაფერ კითხვებს, სთხოვთ გაკვეთილში ნახმარი სიტყვა შესცვალონ უფრო მდაბიო და ხშირად სახმარი სიტყვით, ეს წინადადება გადმოიტანონ სამშობლო ენაზე და სხვა, მაგრამ სულ ამაოა თქვენი შრომა: მოსწავლეები არავის არ უვარჯიშებია ამ გვარად და ისინიც ვერ მიხვედრილან რას სთხოვთ და რა გწადიათ მათგან. რამდენიმე კითხვიდან რწმუნდებით, რომ აქ მეხანიკური დაზეპირება ყოფილა აღიარებული ცოდნის შეძენის მთავარ საშუალებად, უკმაყოფილების გრძნობით აღვსილნი, თავს ანებებთ უცხო ენის გაკვეთილს, ახლა გსურთ შეიტყოთ რამდენად განვითარებულნი არიან მოსწავლეები სამშობლო ენის ცოდნაში. აძლევთ ბავშვებს კითხვებს და მათი პასუხებიდან რწმუნდებით, რომ არც სამშობლო ენის სწავლება ყოფილა, რუსული ენის სწავლებასთან შედარებით, უკეთეს ნიადაგზე დაყენებული. აქაც მოთხრობებს გადიან შეუგნებლად და აზრის აუღებლად, ლექსებს იზეპირებენ უაზროდ და გრძნობა მოკლებულად. მოწაფე, რომელსაც ოთხი წელიწადი გაუტარებია სასწავლებელში, ვერ გასცილებია „დედა ენას“ და უცნობ მოთხრობას ვერ წაგიკითხავთ, თუ ასოები არ ჩათვალა. ქართული მოთხრობების შინაარსის შეგნებული გადმოცემა იმდენადვე უძნელდებათ ბავშვებს, როგორც რუსული მოთხრობებისა. ჩვენმა მგოსნებმა რომ თავიანთი ბედნიერი ყურით მოისმინონ რა ულვთოდ და შეუბრალებლად ჰსჯიჯგნიან და აწამებენ მათ ნაწერებს, დარწმუნებული ვარ დიდის ხვეწნა-მუდარებით შეეევედრებოდნენ შკოლების ხელმძღვანელებს: იწამეთ თქვენი გამჩენი ღმერთი, დაეხსენით ჩვენს ნაწერებს, დეე სრულებით ნუ იქნება ჩვენი და ჩვენი ნაწერების ხსენება სასწავლებელში, იქნება შემდეგში აქედან გასულებმა მართლა ხალისით და შეგნებით მოჰკიდონ ხელი ჩვენს ქმნილებებს, ეხლა კი, თქვენი დამტანჯავი სწავლების მეოხებით, მარტო ზიზღი ემატებათ მოვშებს ჩვენდამი და ვაი თუ ეს გრძნობა საბოლოოთ ჩარჩეთ მათ გულშიო!

უმფროსი განყოფილების მოწაფეების სარწმუნოებრივი და ზნეობრივი განვითარების აღლადიდებას შეადგენს ცოდნა ლოცვებისა სლავიანურად და ათ-თორმეტი საუფლო დღესასწაულების ისტორია რუსულად.

ორმოცში ორს რომ ქართულ წერაში ცოტათ თუ ბევრად მოხდენილი ხელი ჰქონდეს, დიდი საქმეა.

მაგრამ კმარა სასწავლებლებზე ლაპარაკი. ნათქვამიდანაც ყველა ხედავს, რომ ზუგდიდის მაზრას ჯერ არ ღირსებია საღ პედაგოგიის პრინციპებზე მოწყობილი სასწავლებელი და ამის გამოა აქ ყოველგან და ყველაფერში გამეფებული უვიცობა და უმწიგნობრობა, ამის გამოა, რომ აქაური მკვიდრნი არ იცნობენ საუმჯობესო ჯიშის საქონელს, არ მისდევენ ნამყენი ხეხილის გაშენებას, შეგნებულად ნაწარმოებ მეურნეობას, ევროპიულ გუთნებს, ფარცხებს, სათიბავებს და სხ. ამ უვიცობას და უმწიგნობრობას უნდა მივაწეროთ, რომ ასეთ მადლიან ბუნებაში მცხოვრებლები, მაინც შიმშილით იხოცებიან და სხვა რომ არა ეხერხებათ-რა, ავხელობას დასდგომიან!

სად არის და რას არიგებს სამეგრელოს ინტელიგენცია?

გზაში ხშირად შეგხვდებათ ეკკლესიები. ძველი დროის ნათალი ქვის ტაძრების გამოკლებით, ეკკლესიები მომეტებულად ხისა არიან და თავიანთი სტილით წააგვანან ბელელს, ან ქართულ ფიცრის საბძელს. მათი შინაგანი მოწყობილობის სიღატაკე ადვილი ასაწერი არ არის. ყველა ეკკლესიაში უსათუოდ შეგხვდებათ მაცხოვრისა და ღვთისმშობლის უბრალო ქალალოის სამშაურიანი სურათები, მთლად დაბრეცილ დაგლეჯილი ფრაჟის ჯვარი, დაძველებული და გაქონილ-დამწვირიანებული სახარება, გაშავებულ-ჩაუანგებული რალაცა ლითონის ბარძიმ-ფეშხუმი,

საცოდავათ დაჭყლეტილ-დაჩეჩქვილი და შემურული საცეცხური, დაფურცლული ჟამნ-კონდაკ-სამოციქულო და ბოლოს ის სამარცხვინო ძონძები, რომლებსაც აქ რაღაცა შეცდომით სამღვდელო შესამოსს ეძახიან. თუ ყველა ამას დაუმატებთ იმასაც, რომ გარეთ ეზოში რომელიმე ხეზე ჩამოკიდულია ზარა, რომელიც თავისი სიდიდით არ აღემატება რუსული ტროიკის „დუგაზე“ ჩამოკონწიალებულ ზარას და ეკლესიის ეზო წარმოადგენს რუსული ჯიშის ღორების დინგთა სავარჯიშო მეიდანს, დაახლოებით სწორი წარმოდგენა გექნებათ ზუგდიდის მაზრის ეკლესიების მორთულობაზე.

ერთი თვალის გადავლებითვე რწმუნდებით, რომ ამ კუთხეში ეკლესია ყველასაგან დავიწყებული და მიგდებულია. იგი არავის გონებას არ იზიდავს, არავის გულზედ არ მოქმედობს, არაფერი მნიშვნელობა არა აქვს დათმობილი ხალხის ცხოვრებაში. თუ ვინმემ გაიხსენა ეკლესია, ეს მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ჯვარდასაწერი ან დასამარხი არის ვინძე. დანარჩენში ის არავის არ სჭირდება ან არავის არ ახსოვს. ასე გულცივად და გარეწრად არსად არ უნდა ეპყრობოდნენ საქართველოში ეკლესიას, როგორც სამეგრელოში. ამისი მთავარი მიზეზი ადგილობრივი მღვდლების უვარგისობაა. სამღვდელოების ორი მესამედი უსწავლელია, მათებრ ქართული ლაპარაკი მეძროხესთვისაც კი სათაკილოა; სამღვდელოება არ მისდევს თვითგანვითარებას, არ ეტანება ქართულ მწიგნობრობას *), მღვდლების ცოლების დიდმა ნაწილმა არ იცის ქართული ენა, ქართული წერა-კითხვა და აბა რა შვილები უნდა აღუზარდოს მამულს და ეკლესიას იმისთანა დედამ, რომლის გული და გონება დახშულია წმ. სახარებისა, ლოცვისა და ქართველ გამოჩენილ მწერალთა უკვდავი ქმნილებების ზეგავლენისათვის!

თავისთავად მისახვედრია, რომ ასე გონება განუვითარებელ სამღვდელოებას არ შეუძლიან ეკლესიური ქადაგება და ამიტომაც სამეგრელოს ეკლესიებში ისე არ გაისმის სწავლა-მოძღვრება, როგორც მეჩეთის მინარეთზე ზარების რეკვა. ყველაზე გულსატკენი კიდევ ისაა, რომ აქაურ სამღვდელოებას ეკლესიური მღვდელთმოქმედების და წესების შესრულებაც კი ემძიმება და ეზარება. სამეგრელოს სამღვდელოებამ დიდი ხანია გადააგდო საღამოს ლოცვა და ცისკარი. სამეგრელოს სოფლებში არსად არც მწუხრი და არც ცისკარი არ სრულდება ეკლესიაში, არც შაბათ საღამოს და არც კვირას დილით სოფლად ზარი არ ირეკება. მართალია, სიზარმაცე, დაუდევრობა და ბოლოდაშვებულობა საერთო სენია ჩვენი სამღვდელოებისა, მაგრამ უდებობის იმ ხარისამდე მიხწევა, რომელზედაც დღეს სამეგრელოს სამღვდელოება დგას, ჯერ კიდევ, საბედნიეროდ, დიდი მანძილი აქვს გასავლელი ქართლ-კახეთისა, იმერეთისა და გურიის სამღვდელოებას. ოღონდ კი ჯამაგირი, ჯილდო და დრამის ფული უკლებლივ მიიღოს მეგრელმა მღვდელმა და თუ მას რაიმე მოვალეობა აქვს სამწყსოს წინაშე, ამას არ დაგიდევს. სიზარმაცე'ში და პრაკტიკულ ინდეფერენტიზმში „კურსოვნიკი“ მღვდლები თუ არ სჭარბობენ, უკეთესები არ არიან უსწავლელ მღვდლებზე.

ასეთი მიმართულების სამღვდელოება, რა თქმა უნდა, მეტის მეტად უმადური მასალაა გურია-სამეგრელოს ეპარქიის ახალი მმართველისათვის, მაგრამ თუ ეხლა მაინც არის არ მოწესრიგდა რამდენადმე სამეგრელოს სამღვდელოების ყოფა ქცევა და სამღვდელოებამ პირი არ იბრუნა თავისი მოვალეობის შეგნებულად შესრულებისაკენ, საბოლოოდ უიმედონი უნდა ვიქნეთ ჩვენში სარწმუნოების ბედ-ილბალზე.

გულშემატკივარი მოკეთე.

*) საინტერესოა გამოქვეყნდეს რამდენი ღვდელი იწერს სამეგრელოდგან „შინაურ საქმეებს“.

ქუთ. მეპურეთა ამხანაგობის „იმედის“ მოთავეთა და ხელმძღვანელთა საყურადღებოთ.

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, დაუთმოთ ადგილი თქვენს ჟურნალს „შინაურ საქმეებში“ ამ წერილს. ამას წინად მე წავიკითხე ერთ რომელიღაც ქართულ გაზეთში „წერილი ბელგიიდან“, რომელშიაც აწერილი იყო იქაური „ასოციაცია“. ბელგიის ქალ. განში დაუარსებიათ მეპურეთა ასოციაცია რამოდენიმე ასი ფრანკით და სულ რამოდენიმე წლის განმავლობაში, ისე წაღმართათ უწარმოებია საქმეს, რომ წლიური შემოსავალი მილიონს აღმატებია. ამ ამბავმა მომაგონა ქუთათური მეპურეთა ასოციაცია, ანუ აწ უკვე უპატრონობისა გამო საუკუნოდ განსვენებული მეპურ. ამხანაგობა, „იმედი“. თქვენს მტერს იმედი გაუცრუოს ღმერთმა, პატივცემულო მკითხველო, რაც ჩვენ ამ „იმედმა“ იმედი ვერ გაგვიმართლა! ეს Хлѣбопекарное товарищество „имеди“ დაარსდა 1902 წელში და თუ ბელგიის ამხანაგობას რამოდენიმე ასი ფრანკი თანხა ქონდა და მით სულ მოკლე დროში წლიური შემოსავალი მილიონი აქვს, ჩვენ ამხანაგობას რამდენიმე ასი მანეთი თანხა ქონდა, (ე. ი. ჩემს კვიტანციას (წილის ბარათი) 6000-ზე მეტი №-ი უზის და ამ ანგარიშით, სამი ათას მანეთზე მეტი თანხა გვქონია*) მაგრამ ეს ამხანაგობა ჩაიფშუკა, მაშასადამე ის სამი ათას მანეთზე მეტი ფულიც ჩაიკვრიხა! ვინ შეჭამა ეს ფულები სულ ორი სამი წლის განმავლობაში? ვინ აწარმოებდა ამ საქმეს? ვინ მისცა ანგარიში საზოგადოებას, ამხანაგობას? აი საკითხი, რომელიც თხოულობს ანგარიშს, და ანგარიშს ნამდვილს, სწორს და უტყუარს, და თხოულობს იმათგან ვინც იტვირთა ამ საქმის წარმოება და ხელმძღვანელობა. მაშ გაგლეჯა ხომ არ არის! ბელგიაში თუ ამგვარი ამხანაგობა მილიონობით გებულობს ჩვენში პურს არ ყიდულობენ თუ?! ჩვენ ვიცით ერთი მაგალითი: ამას წინად ერთ თათარს ფურნე ჰქონდა ბალახვანის ქუჩაზე; ვილაცამ მის ახლო მეორე ფურნე გააკეთა; თათარი წლიურად 300 მანეთს აძლევდა ახალ გაკეთებულ ფურნის პატრონს, დაკეტე ნუ გააქირავებ, მუშტრები მომაკლდებაო. მაგალითები საჭირო არ არის, რადგან ცხადია, რომ პატრონის ხელში პურის ვაჭრობა, არა თუ წააგებს, უთუოდ ბევრსაც მოიგებს. აბა გვიბრძანეთ „იმედის“ მოთავენო, როგორი თაობა გაუწიეთ ამ საქმეს! აი საპასუხოც ეს არის და იმედი გვაქვს უტყუარ პასუხს მოგვაწოდებთ. ე. ი. თანხა რამდენი იყო, რა იყიდეთ, რა გაყიდეთ, რა დარჩა თავნი და რა გვაქვს მოგება.

ამხანაგი.

—

მწუხარებით ვუთმობთ ადგილს ამ მკირე, მაგრამ დიდმნიშვნელოვან შენიშვნას. ჩვენ თავზე გამოგვიცდია, თუ რა არის ჩვენი ქუთათური ამხანაგობა: წუთიერი, ბავშური გატაცება, ერთ წამ ღიმილი და საუკუნო ტირილი და გოდება. რაც რომ საპატიო ამხანაგობა გახსნილა ჩვენ უბადრუკ ქუთაისში, თითქმის ყველაში მონაწილეობა მიმიღია (საწილო გადასახადით, რა თქმა უნდა) და რაღაც ჩემდა საუბედუროდ არც ერთს არ გაუხარია. დავიწყოთ თუნდა ნეტარ ხსენებულ დიმიტრი თუმავოვის ელევატორიდგან. ამ პატიოსანმა გვამმა თავის დროზე დიდი ალიაქოთი მოახდინა თავის ელევატორით ქუთაისში და ბევრი ამხანაგის ჯიბაც გამოახოხორიკა. კიდევ კაი დროს გადიცვალა, თორემ ბევრს აუტირებდა ცოლშვილს. მაგრამ ის ხომ გზა მართალს არის და მაზედ aut nihil aut bene. ხოლო რა უნდა ვსთქვათ ჩვენ წიგნის გამომცემელ საზოგადოებაზე, რომელიც მეტად საინტერესო საზოგადოება იყო, როგორც თავის წევრების ვინაობით, ისე თვით საზოგადო მიზნ თ და მისწრაფებით. ვინ უნდა დაასახელო მის წევრთა შორის და უფრო მის საქმეების მოწესრიგეთა შორის, რომ დიდი ცოდნისა და განვითარების პატრონი არ იყოს, დიდად არ მოჰქონდეს თავი, როგორც საზოგადო მოღვაწეს, როგორც ქვეყნისათვის თავდადებულს, რო-

*) თითო წილი (პაი) 5 მან. ღირს მეექვსე მანეთიც ზედვე აწერია „დავესკათ“ კვიტანციას, რომელსაც „вступительная“ плата ეწოდება. ამხ.

ორც სოციალიზმის ბელადს და წინადმაუწყებელს? განა შესაძლებელია ასეთ პირთაგან რამე ღალატი და მით უფრო ფულის გაფლანგვა? რა წარმოსადგენია? მაგრამ ბოლო მაინც გვაკვირებს, იმ მოპარული მამლის არ იყოს; გვიკვირს, სად წავიდა ჩვენი საამხანაგო საწილო ფულები? ნუ თუ მხოლოდ თვალებ დათხრილი, იმ გამანადგურებელ წლის განადგურებული კიოსკოლა დაგვრჩა ნიშნად ჩვენი მისწრაფებისა, ჩვენი სულის კვეთებისა? ურიგო არ იქნება, რომ სათანადო საამხანაგო მმართველობა, რომლის ხელშიც უკანასკნელად იყო საამხანაგო საქმის გამგეობა, შეკრებდეს ამხანაგებს და გააცნობდეს საქმის ვითარებას: არის თუ არა კიდევ რაიმე იმედი აღვადგინოთ ეს სიმპატიური საზოგადოება, თუ სამუდამოთ უნდა გამთვეთხოვოთ მას? და არა თუ მარტო მას, არამედ ყოველგვარ ამხანაგობას, რომლებიც სოკოსავით იბადებიან და სოკოსავითვე მალე კვდებიან?

ჭეშმარიტად სამწუხარო მოვლენაა, რომ არავითარი საამხანაგო საქმე არ ხარობს ქუთაისის ნიადაგზე. გაიხსენეთ, თუ გნებავთ კიდევ, წყლის გამყვანი საზოგადოება, რომლის დაღუპვის შემდეგ ჩაესვენა მაზე ჩვენი ქალაქის თვითმართველობის მოღვაწეობისა ამ საგანზე. გაიხსენეთ საამხანაგო ბანკი და მისი ეხლანდელი უბადრუკი მიხრწნილი მდგომარეობა და მოიგონეთ ქართული ანდაზა: „საზოგადოყანა წერომ მოჭამაო“! ასეთი ბედი სჭირს ქუთათურ ამხანაგობებს და რათ უნდა გვიკვირდეს, რომ ადგილობრივი საზოგადოებაც გულგრილად ეკიდებოდეს მათ? კარგად დაუკვირდენ ამ გარემოებას ჩვენი მეთაური ახალგაზდობა და „რომელთა ასხენ ყურნი სმენად, ისმინონ!“...

რედ.

მაგალითები, რომლებიც ამტკიცებენ სულის უკვდავებას და საიქიო ცხოვრების არსებობას.

(გომართელის „სულისა და ტვინის“ გამო).

ჩვენ თავიდანვე ვსთქვით, რომ ასეთ მაგალითებს ბ. გომართელი და ამხ. ზლაპარს დაუძახებენთქო. ეს ასეც მოხდა. ბ. გომართელმა თავის უბადრუკ პასუხში შესახებ კანტ-ლაპლასის ქვეყნ ერების წარმოშობისა ჩვენი უვიცობის საბუთად ის მოიყვანა, რომ ჩვენ ნდობით ვეპყრობით სხვა და სხვა თქმულებებს შესახებ მიცვალებულთა გამოცხადებისა. ავტორიტეტების მოყვარე გომართელს უთუოდ არ წაუკითხავს მეცნიერ-მსწავლულების აზრი ამ საგანზე, ამისთვის, რომ ბევრს არ გამოვეკიდოთ, მოვიყვანთ ერთ ვარსკვლავთ მრიცხველის, სახელდობრ კამილ ფლამარიონის აზრს ამ საგანზე. ფლამარიონს მიტომ ვარჩევთ ამ შემთხვევაში, რომ იგი, თუ არ ვსცდებით, მომხრეა კანტ-ლაპლასის თეორიისა შესახებ მზისა და მის ციაგების დედაშვილურ კავშირისა. აი რას ამბობს იგი ამ საგანზე.

„ის, რაც გუშინ არ ვიცოდით, შეიძლება დღეს ჭეშმარიტებად იქმნეს აღიარებული. ასეთია მაგალითად მომაკვდავის გამოცხადება, როცა უკანასკნელი ეცხადება ვინმეს შორეულ ან ცოტად თუ ბევრად ახლო მანძილზე. პოზიტივისტები[1]), მხოლოდ მხრებს ასწევენ ხოლმე, როცა ასეთ არა შესაწყნარებელ საგანზე დაიწყებენ ლაპარაკს; ასეთ საგნებში გართობა ნიშნავს გადასულ საუკუნეთა ცრუმორწმუნეობაში ჩავარდნას. **შეუძლებელია**, ამბობენ ეგინი, რომ ერთი კაცი გამოეცხადოს მეორეს, ან ერთმა მეორეს აუწყოს თავის გარდაცვალებაო. სიტყვა „შეუძლებელია“ გამოირიცხა ფრანგული ენიდგან ჯერ კიდევ ნაპოლეონის დროს. იგი გამორიცხულია აგრეთვე ფილოსოფიური ლექსიკონიდგან, შემდეგ მოულოდნელ და გასაოცარ აღმოჩენებისა ფიზიკაში. ის, ვინც ამ უკანასკნელ ხანებში ნებას მისცემს თავის თავს, შემდეგ ფოტოგრაფიისა, ორთქლისა, ტელეგრაფისა, ტელეფონისა, ვარსკვლავთ სპექტრალური განხილვისა, შეგონებისა და გიპნოტიზმისა ხაზის გავლებას (ან საზღვრის დადებას) იქ, სადაც შესაძლებელი თავდება, ან საიდგანაც შეუძლებელი იწყება, იგი ჩამორჩენილია ნახევარ საუკუნით მაინც დასაწყის სკოლის შეგირდზე ყველაზე უფრო პატარა“.

„ზოგიერთები გვეუბნებიან: როგორ უნ-

[1]) რომლებსაც არ სწამთ არაფერი ზენაარე.

და ავხსნათ (წარმოვიდგინოთ) ასეთი მოვლენებიო. ჩვენ მხოლოდ ის უნდ. მივიღოთ, რის ახსნა, რის მიწთომაც შეგვიძლიაო".

„მაინც კიდევ შეცდომაა. შეგიძლიათ გაიგოთ, თუ რატომ ვარდება ასროლილი ქვა? რა თქმა უნდა არა, თქვენ არ იცით შინაარსი სიმძიმისა. იყენენით მაშასადამე ამ შემთხვევაში წყნარად და ნუ ჰკიცხავთ მათ, ვინაც უნდა თქვენზე მეტი იცოდეს.

„კითხვა იმაშია, არსებობენ თუ არა ჩვენებანი, გამოცხადებანი? თუ არსებობენ, კიდეც უნდა მივიღოთ. ახსნით კი შემდეგ ავხსნით... თუ შევიძელით.

„ო! იგინი გუშინდილიდგან კი არ არსებობენ, ან ახლა კი არ დაუწყიათ მათზე ლაპარაკი. ქრისტიანობის გამოჩენის დროს ურწმუნო მწერლები არა ერთხელ შეხებიან ამ საგანს და აი მაგალითად ფრიად საინტერესო მოთხრობა ციცერონისა, გადმოცემული მის წიგნში „ღვთაებრიობაზე."

„ორი მეგობარი ჩამოხტენ ქალაქ მეგარაში და დაიკავეს სხვა და სხვა ბინა. ძლივს ერთმა მათგანმა მოასწრო დაძინება, რომ მეორე გამოეცხადა მას და დაღვრემილი და მწუხარე სახის გამომეტყველებით შეატყობია, რომ მასპინძელს უნდა მისი მოკვლა და სთხოვა მეგობარს დახმარება. ამან გაიღვიძა, მაგრამ სიზმრის უმნიშვნელობაში დარწმუნებულმა ხელახლა დაიძინა. მეგობარი ხელახლა ეცხადება მას და ემუდარება დაუჩქაროს, რადგან მკვლელები უკვე მზად არიან ოთახში შემოსასვლელად. რამოდენიმეთ შეშფოთებულს ამ სიზრმის ეონიანობით, უნდა წავიდეს მეგობართან; მაგრამ დაღალულობა და გონება თავისას შვრებიან და იგი ისევ ძილს ეძლევა. მაშინ მეგობარი ეცხადება მას მესამეთ მკრთალი გასისხლიანებული და დასახიჩრებული. „ებედურო, უთხრა მან, შენ არ მოდი, როცა გთხოვე! ყველაფერი გათავდა; სისხლი მაინც იძიე ჩემ მაგიერა. მზის ამოსვლისას ქალაქის კარებთან შენ შეგხვდება ურემი ნეხვით სავსე, გააჩერე და დააკლევინე; იქ ნახავ ჩემ სხეულს; დაასაფლავე პატივით და აღძარი დევნა ჩემი მკვლელების წინააღმდეგ. ასეთი ძლიერი ეონიანობა და წერილმანი ნიშნები ყოველ ეჭვებს სპობდნენ; მეგობარი დგება და მიეშურება ქალაქის კარებისაკენ, წინ ხვდება ნაკელით სავსე ურემს აყენებს დავთარდაბნედულ მურეს და პოულობს თავის მეგობრის სხეულს."

„აი რას ამბობს ციცერონი. რა თქმა უნდა კითხვიანი ნიშანზე შეგვიძლია პასუხი გავსცეთ ბევრი გიპოტეზებით (სათუო პასუხებით). შეიძლება ვსთქვათ, მაგალითად, რომ ციცერონმა სავსებით ისე არ გადმოგვცა ეს ამბავი, როგორც მოხდა; რომ იგი დამატებულია და გაზვიადებული; რომ მეგობრებს უცხო ქალაქში, ადვილად შეიძლებოდა, შეშინებოდათ; რომ დაღალულობისა და შიშის მქონე მეგობარმა კიდეც ნახა სიზმარი, რომ მისი მეგობარი შეიქნა ავაზაკების სხვერპლი. რაც შეეხება ურემს, მეგობარს შეეძლო რამე ამის მსგავსი დაენახა სასტუმროს ეზოში და სიზმრად გადაქცეოდა, ან მის სიზმარს შეერთებოდა. დიახ, შეიძლება ვუპასუხოთ ყველა ამ გიპოტეზებით, მაგრამ ყველა ეს გიპოტეზებია. ცოცხალ და მიცვალებულ შუა დამოკიდებულების მიღებაც გიპოტეზა იქნება. მაგრამ ეს გიპოტეზა უფრო ახლოს იქნება ჰეშმარიტებაზე, უფრო ნაკლები სათუო და საგონიო ახსნა იქნება, თუ ყურადღებას მივაქცევთ იმ უტყუარ და სარწმუნო ფაქტებს, რომლებსაც ეხლა მეცნიერულად ამუშავებენ და წინ აყენებენ. ჩვენ შეგვიძლია დაუყენოთ წინ მკითხველთა სამსჯავროს რამოდენიმე ასეთი ფაქტები ჩვენ დავიწყებთ შემდეგი ფაქტიდგან, რომელიც ყველა თავის დამამტკიცებელ საბუთებით მოთავსებულია იმ სამაგალითო მიმოხილვაში, რომელიც განსაკუთრებით ასეთ მოვლენათათვის არის დაარსებული და რომელსაც სახელად ეწოდება „სულიერ მეცნიერებათა მატიანე". (Летописи психическихъ наукъ) დოქტორის დარიეკსისა. აი ეს ფაქტიც.

(შემდეგი იქნება). სანმანიანი.

რედაქტორ-გამომცემელი
მღვდელი სიმონ ფეიდლიძე.